




# bsðayðob ðessadr



Nº5 (36)

8 ጥንበኛውን ሙሉ በታች የሚከተሉት ነው፡፡ 2016 ዓ.ም

# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესია

1 თებერვალს გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესია. სესიაზე საქრებულოს წევრებმა, პირველ საკითხად, მუნიციპალიტეტის გამგეობის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვენების წესი და პროაქტიულად გამოსაქვეყნებული საჯარო ინფორმაციის წესი დამტკიცეს. ამავე სესიაზე დამტკიცდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესიაზე საქრებულოს წევრებმა, პირველ საკითხად, მუნიციპალიტეტის გამგეობის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვენების წესი და პროაქტიულად გამოსაქვეყნებული საჯარო ინფორმაციის წესი დამტკიცეს.

# ხაშურში ფართო მასშტაბის მშენებლობები იწყება

3 თებერვალს, მთავრობის სხდომაზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ხაშურში სპორტკომპლექსის მშენებლობის შესახებ. სწორედ ამ და სხვა სიახლეებზე ვთხოვთ ინტერვიუ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსს სერგო ლალიაშვილს, რაზეც



ბატონი სერგო სიამოვნებით დაგვთანხმდა:  
— ბატონო სერგო,  
მართლაც ანიშვნელო—  
ვანი სიახლეა ჩვენი  
ძალას და მავა!



ეს დაპირება რეალობად ქცეულიყო. რამდენჯერმე შეიცვალა პროექტი, მშენებლობის ბიუჯეტი, იყო ათეულობით შეხვედრა მთავრობის დონეზე თუ ექსპერტებთან და საბოლოოდ მივაწვდით ბოლო კონცილიამდე. დღეს უკვა

**სიკეთე, რომელიც  
არასოდეს დაიკარგება**

12-14 ნოემბრის სტიქიამ – გადაუდებელმა წვიმებმა და ძლიერმა ქარებმა, წრომის მახლობლად – ახალ შენში, ხარება შვილების სამსულიანი ოჯახი საცხოვრებელი სახლის გარეშე დატოვა. მომხდარის დღესვე ადგილზე ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასახაშვილი და გამგებლის რწმუნებული დავით გოგოლაძე იმყოფებოდნენ. დაუყონებლივ მოხდა ოჯახის უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა, ქალბატონ ეთერ ხარებაშვილს კი შპპირდნენ ახალი სახლის აშენებას. მომხდარის შეტყობის შემდეგ, გადავწევიტეთ ოჯახის ამჟამნი დელ მდგომარეობას პირადად გავცნობოდით. ბატონ დავით გოგოლაძის დახმარებით სოფელ ახალშენს ვესტურეთ. გზად გამგებელმა დაწვრილებით მოგვიყვა ჩატარებული სამუშაოების შესახებ.



აშენება. ამისათვის 807900 ლარი დაიხარჯება. ასევე წელს მოხდება შარშან დაწყებული ნაპირ-



სამაგრი სამუშაოების დასრულება მდინარე ბიჯნისულაზე და აქ 297 ათასი ლარი დაიხარჯება. ასევე მსხვილი პროექტებია სურამში – 9 აპრილის და ხაშურში – ჯორჯაძის და ჭალის სასაფლაოს მიმდებარე ქუჩების მონაკვეთების მოასაფალტება თავდადებულის ქუჩამდე. პირველისათვის ნახევარი მილიონამდე ლარი, მეორისათვის კი 800 ათასი ლარია გამოყოფილი. ვიმეორებ, ხუთივე ეს პროექტი ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ბატონ სერგოსთან ჩვენ იმ პროექტებზეც ვისაუბრეთ, რომელიც წელს ადგილობრივი ბიუ-ჯეტიდან უნდა დაფინანსდეს. მის შესახებ კი გაზეოთის მომდვერო ნომერში მოგითხოვთ.

**სურათებზე:** ასეთი იქნება ახალი სპორტულმცლე-ქსი და მისი ერთ-ერთი დარბაზი (მარცხნივ, დაბ-

# სიკეთე, ტომელიც ატასთდეს დაიკატება

12-14 ნოემბრის სტიქიამ – გადაუდებელმა წვიმებმა და ძლიერმა ქარებმა, წორის მახლობლად – ახალშენში, ხარებაშვილების სამსულიანი ოჯახი საცხოვრებელი სახლის გარეშე დატოვა. მომხდარის დღესვე ადგილზე ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასახაშვილი და გამგებლის რწმუნებული დავით გოგოლაძე იმყოფებოდნენ. დაუკონებლივ ძოხდა ოჯახის უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა, ქალბატონ ეთერ ხარებაშვილს კი შეკპირდნენ ახალი სახლის აშენებას. მომხდარის შეტყობის შემდეგ, გადავწყვიტეთ ოჯახის ამჟამინდელ მდგრამარეობას პირადად გაცნობოდით. ბატონ დავით გოგოლაძის დახმარებით სოფელ ახალშენს ვესტუმრეთ. გზად გამგებელმა დაწვრილებით მოგვიყვა ჩატარებული სამუშაოების შესახებ.

გამგებლის რწმუნებული დავით გო-  
გოლაძე: სტიქია 13 ნოემბერს მოხდა.  
ძლიერი ქარის შედეგად მნიშვნელოვნად  
დაზიანდა ხარება შვილების საცხოვრე-  
ბელი სახლი. ფაქტობრივად, საცხოვრე-  
ბლად გამოუსადეგარი იყო. გამგებლის,  
გია გურასპაშვილის ინიციატივით გად-  
აწყდა ოჯახისთვის თანხის გამოყოფა, 20  
ათასი ლარის რაოდენობით, რათა ოჯახი  
ახალი საცხოვრებლით უზრუნველყოფილობის მისამად, კოსმეტიკური სამუშაოების ჩა-  
სატარებელი. დაგეგმილია საკრებულოს  
სხდომაზე საკითხის გატანა, რემონტი-  
სათვის დამატებით 12 ათასი ლარის გა-  
მოყოფასთან დაკავშირებით, რათა ოჯახე-  
ბა, რაც შეიძლება სწრაფად განაგრძოს  
სრულყოფილ პირობებში ცხოვრება.



(დასასრული II გვერდზე)

ვარდისფერი სახლი იყო, კარგად მახსოვს, თავიდანვე მიიქცია ჩემი ყურადღება თავისი თბილი ფერით და რაღაცნარი კომწიაობით, აღარც მიიტქრია, ასეთივე ლამაზი ფერის ეზოს კარი შევაღე და მეტი სიზუსტისათვის, პერსონალი გაკრულ აბრას შევავლე თვალი. პროგნოზი გამართლდა- მცირე საოჯახო სახლის კართან ვიდექი მოლოდინადქცეული. კარი ქალბატონმა გამიღო, თბილი(რამდენი "თბილი" იყო ამ სახლში), გულს რომ გაგიხსნის, ისეთი დიმილით(უკავი იცოდა ჩემი ვინაობა) -შემიპატიუა. რა კარგია-თქმო თქვენთან-ხმა არ ამოქიდია, გულის ხმა იყო ეს. თვალების ცეცება დავიწყე, რაღაც უჩვეულოს, განსხვავებულს ვეძებით მარტივობაში, სადაც მართლაც



სხვანაირი, მზრუნველი და დისციპლინებული გარემო იყო. ზამთრის სიცივისგან ნახევრად მოყინულმა სხეულმა საამო სითბო იგრძნო, სამსახურიდან სახლში დაბრუნებულს ომ მხვდება ხოლმე, საგანგებოდ ჩემთვის გამთბარი სახლი, ქურაძე შემომღებარი "გემრიელობებით". ეს ბავშვების სახლი, ოჯახია-მათი კერა, ვისოვისაც ბუნებამ ნაკლები ყურადღება გაიმეტა, სოციალურმა თუ სხვა პრობლემებმა სხვა ოჯახები სითბოს აზიარა. მუსიკა იყო ყველგან, მათი ასაკის მუსიკა-ბავშვურად უდარდებო და მეამბოხე. სახლის "დიასახლისმა" ბავშვების შეკრების ოთახში შემიყვანა-სკოლიდან დაბრუნებულები აქ იყრიან თავს, ბავშვურ ცელქობებს, დღის ამბებს უყვებიან ერთმანეთს-ზეოგი ხელსაქმეს მიუბრუნდება, ზოგს წიგნი მიაქვს ოთახში საკითხავად, ზოგს იმდენი აქვს მოსაყოლი, ენას არ აჩრებებს-ისინი ხომ ერთი ოჯახის, ერთუფლებიანი წაკრები არიან, უკართ და განიცდიან ბავშვურად.

յոցը լուսա, օսկա, և գուշակ առ այս անդ.

յոցը լուսա, օսկա, և գուշակ առ այս անդ.



არაფერია. ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლი ამის მაგალითია. საზოგადოება "ბილიკი" არასამთავრებო ორაგანიზაციაა, რომელიც საქართველოს უკიდურესი ეკონომიკური კრიზისის დროს 1997 წელს დაარსდა და მიხნად დაისახა დახმარება გაეწია და ჯანსაღი ცხოვრებისკენ შემოებრუნებინა დარიბი, დაქნიდი ოჯახის შვილები და ის ბავშვები, რომელიც ცხოვრების პირობების გამო, იძულებული არიან დროს დიდი ნაწილი ოჯახის, სასწავლო დაწესებულებების გარეთ-ქუჩაში გაატარონ ან ამ რისკის ქვეშ იმყოფებოდნენ. რეალურად, ამ ბავშვებთან ურთიერთობის დამყარება, ნდობის ძროვება საქმაოდ რთულია, გარემო, სადაც ისინი ცხოვრობენ არასასურველ გავლენას ახდენს მათ ფსიქიკაზე, ამიტომ ორგანიზაციაში ეტაპობრივად ჩამოყალიბდა და განვითარდა სხვადასხვა სამსახურები- დღეს უკვე ნებისმიერ ბავშვს ეწევ საგანმანათლებლო, პროფესიული, სოციალური, ფსიქოლოგიური და სამედიცინო დახმარება, სადაც

თავის მხრივ ჩართულია ფსიქოლოგიური, სოციალური, სამედიცინო, ოჯახის მხარდაჭერის სამსახური, ბავშვთა კლუბი და საგანმანათლებლო, შემოქმედებითი სტუდია, რომლებსაც ცალ-ცალკე

- ՅՅՈՒՆԱ ԿԱՐԵՎԱՆԻ ՆԱԽԾԱՑՈՒ -

# 9 ბავშვთა განამილებული ცრონა თბილი ოჯახი

თავისი ფუნქცია აკისრია, რაც მთლიანობაში ბავშვის ზრუნვამდე მიდის. ფიქტურობიური სამსახური ეხმარება დარიბი ოჯახების შეიღებს და მათ მშობლებს ფიქტურობიური ძგლმარეობის გაუმჯობესებაში, რომელიც ინდივიდუალურ საქმიანო-

ბას და მუშაობას მოიცავს. სოციალური სამსახური მოიპოვებს და ამუშავებს ინფორმაციას თითოეულ ბავშვზე, გეგმავს მასთან ინდივიდუალურ მუშაობას, რაც გულისხმობს ყველა საჭირო დოკუმენტაციის მოძიებას, ოჯახის პრობლემების შესწავლას და მათი გადაჭრის გზების იდენტიფიცირებას, ბავშვის განათლების საკუთიფიკური გეგმის შედგენას, მის განხორციელებას და შემდგომ მონიტორინგს. სამედიცინო სამსახურის ფუნქციას კი ბავშვების სამედიცინო გამოკვლევა და საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარება წარმოადგენს ჯანმრთელი ცხოვრების წესებ-ესაა ზრუნვა, კეთილი ნება-საზოგადოებას დაუბრუნო და მის სრულუფლების

ახ წევრად გაზარდო გარეკეულ სოციალურ თუ ოჯახურ სითბოს მოკლებული ბავშვი, მოელი მისი შინაგანი პოეტენციალით. გიორგი (სახელი შეცვლილია) ამ სახლის ბენეფიციარია, 15 წლისაა. ერთი წლის წინ გადმოვიდა სხვა სახლიდან, ხელობას კერძავლობ, მინდა ჩემი საქმე მქონდესო-მითხრა. ბავშვობიდან შრომას შეჩვეულმა, აქ დაინახა თავისი თავი. ზაფხულობითაც შრომობს, ყველას ეხმარება, ვისაც ჭირდება, დაუზარებლად-აღმზრდელებს ეზოს დასუფთავებაში და მოკლაში-ათასი კაცური საქმეა ოჯახში საკეთებელი. დედა ჟყავს, ნახულობენ ერთმანეთს. სოციალურ-მა პირობებმა ბავშვთა სახლების ბინადრად აქცია. აქ თავს კარგად გრძნობს, ოჯახურად, მეგობრულად ცხოვრობენ-ერთმანეთის სიხარულს და პრობლემებს იზიარებენ. მეგობართან მივდივარო, დამეტმვიდობა. აღმზრდელებს ნებართვა სოხოვა და კაცობაში წასული ბავშვური საბიჯების

ოთ გავიდა ოთახიდან. ბავშვები სკოლაში იყვნენ, სახლის აღმზრდელს და ლიდერს ვესაუბრებ: **მარინა ბარბარაძე** (ლიდერი): 2011 წლის 12 დეკემბრიდან უკნიციონირებს საშურის მცირე საოჯახო სახლი. მანამდე დიდი ინსტიტუციები იყო გაშინერის და დიმიტროვის სახელობის ბავშვთა სახლების სახით. ჩვენთან, თავდაპირველად, დიმიტროვის ბავშვთა სახლიდან მოვიდნენ აღსაზრდელები. საშურში ორი სახლია, მესამე გორში. სულ 5 თანამშრომელი ვართ, 4 აღმზრდელი და ერთიც

ლილერი. ეს სახლი 10 ბაგშენეა  
გათვლილი, ახლა 9 ბაგშვი  
გვყავს, ერთი უნდა ამოირიცხოს,  
რადგან თბილისის სახლში გა-  
დადის. ბაგშვები ჩვენთან სოც.  
მუშაკებს მოჰყავთ. ზოგადად,  
ასეთი ტიპის ბაგშვთა სახლებში  
6-18 წლამდე ბაგშვებია, თუმცა  
ჩვენი კულტურული პატარა ბენეფი-  
ციარი 9 წლისაა. ბაგშვები მიდ-  
იან მშობლებთან, ურთიერთობები.

**ეკატერინე ხაჩიძე** (აღმზრდელი): ჩვენი აღსაზრდელები ინტერესების მიხედვით არიან ჩართულები სხვადასხვა საქმიანობებში, მარიამი თეატრშია, სპექტაკლებშია დაკავებული, ლეგანი ფეხსურთხე დადის, ნინო ცეკვაზე-გაგლენთ ბაგშვის ინტერესებს, და შესაბამისად, ვრთავთ სხვადასხვა წრეებში. ზოგს სწავლა უფრო აინტერესებს, ზოგს სპორტი, ზოგს ხელსაქმე, კედელზე ჩამოკიდებული თექის ნამუშევრებიც ჩვენი აღსაზრდელისაა. ერთი სტუდენტიც გვეკვება, ალასანიას უნივერსიტეტში ჩაირიცხა. “ნატახტარი” გვეხმარება ბაგშვის მომზადებაში, რომ მათ შემდგომ აირჩიონ პროფესია და გააგრძელონ სწავლა. გვაქვს ურთიერთობა იმ ბენეფიციარებთან, რომლებიც უკვე წავიდნენ ჩვენგან. სწოლიდან დაბრუნების

შემდეგ მეცადინეობენ, გვეხმარებიან საოჯახო საქმეებში. ვმართავთ სხვადასხვა ლიტერატურულ ღონისძიებებს, პოეზიის სადამოებს. გვაქვს ოჯახური ტრადიცია, დაბადების დღეებზე ვიკრიბებით და ოჯახურ წრეში, ყველა ერთად აღვნიშხავთ.

დონისძიებებზე ამოღის საჩუქრებით. სტუმრად გვყავდა მწერალი დათო ტურაშვილი, რომელმაც მოგვი-

განა წიგნები, პარლამენტშიც დაგვასტიუეს, სადაც წიგნები გვაჩეუქეს. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკამაც იზრუნა ჩვენი ბიბლიოთეკის შევსებაზე-  
**მარინა ბარბაქაძე** (ლიდერი): გზრუნავთ ბაგშვების როგორც გონებრივ, ასევე მათ ფიზიკურ განვითარებაზე. დაც კვებით ხელშეწყობას გულისხმობს. 8 ბაგშვებე ერთ კვირაში კვებაზე 173 ლარია გამოყოფილი, მენიუ გვაქვს, რომლის მიხედვითაც ხდება კვების უზრუნველყოფა. ბაგშვები ჩვენთან თავისუფლად იკვებებიან, როგორც ოჯახში. დიდი ყურადღება ეთმობა პირად პიგინასა და სამედიცინო შემოწმებებს. გვყავს უბის ექიმი, 6 თვეში ერთხელ ბაგშვები მიგვავს კონსულტაციაზე და რეგულარულად მივმართავთ. მონიტორონგი სისტემატურად ხორციელდება, მოწმდება პიგინა, სანიტარული ნორმები, წესრიგი.

**ეკატერინა ხაჩიძე** (აღმზრდელი): ყველაზე მნიშვნელოვანი ბენეფიციარებთან ინდივიდუალური მუშაობაა. ერთ აღმზრდელს უშუალოდ 2-3 ბაგშვებე გვაქვს ასეუხისმგებლობა აღეცული, კვირაში ერთხელ ჩამოდის გორიდან ფსიქოლოგი, რომელიც მუშაობს ბაგშვებთან. ჩვენ ჯაჭვითი ვართ დაკავშირებული სოც. სამსახურთან, სკოლასთან, პათოატოლოგითან დოკუმენტების ამ ბაშტაბის ჩრდავან-

Հյանաբերություն, Թրոտուրաց և օգջույն նորման



ვითარებაზე ვარო ერთობლივად ორიენტირებული. არსებობს სახლის შიდა განაწევი, რომლის შესრულებაც აუცილებელია ბენზინისათვის, რაც მათ უსაფრთხოების დაცვას ემსახურება. ბაგჟები ასრულებენ მორიგეობას, ზრუნავენ სისუფთავეზე, ერთად ვამზადებო სამზარეულოში. მეტია ოჯახური გარემო, ბაგჟებმა ზუსტად იციან,, საჭიროების შემთხვევაში, ვის მიმართონ. მუდმივი კონტაქტი გავქვე აქვდან წასულებოთ რეკავენ, მოდიან. ერთი გაგვითხოვდა კიდეც. ყველანაირად ვცდილობთ, ბაგჟებს ის გარემო შევუქმნათ, რომელიც მათ თავს საკუთარ ოჯახში აგრძელონებს, ხოლო



აქ მიღებული ცოდნა მათ პიროვნულ და შემდგომ უკავ პროფესიულ განვითარებას შეაწყობს ხელს.

Digitized by srujanika@gmail.com

უკვე ტრადიციად (კარგ ტრადიციად) გვექცა ვწეროთ წარმატებულ ადამიანებზე, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა დაკავშირებულია ჩვენს რაიონთან, მითუმეტეს, როდესაც ახალგაზრდებზე ვწეროთ, ჩვენი ქვეყნის იმედის მოძრები თაობაზე. ჩემი რესპონდენტი, ჯილდა ლომიძე ფლევის საჯარო სკოლის მასწავლებელია, რომელიც ამავდროულად დოქტორანტურის სტუდენტია.

- ჩვენი ნათმაფებულ

**წინსვლაზე და  
ორიენტი  
ახალგაზრდ**



და არალიტიკული ცეკვითი ლიტერატურული გენერაციის  
სტატუსი. ორივე დიპლომი წითელი მაქვს, რომიც ვამყობა. წელს გადავწყვიტე  
ჩამებარებინა დოქტორანტურაში სოციალური მეცნიერების ფაკულტეტზე.  
გარევაული დროის შემდეგ მეცნიერების კუთხით მინდა წარვმართო ჩემი  
მოღვაწეობა. ჩემი საღოქტორო ნაშრომის თემაა კონსულტირება საქართვე-  
ლოში, რომელიც ისტორიულ საფუძვლებზე იქნება აგებული. ესაა მასალა  
წარსულიდან დღევანდელობამდე თუ რა პოლიტიკურ კონსულტაციებს უწ-  
ევდნენ სახელმწიფო მმართველებს. საფუძვლად მაქვს მაკიაველი, როგორც  
პოლიტიკური კონსულტანტი. გამოუკვლევი თემაა. წელს ძიების პროცესში  
ვართ, ბატონი ვაჟა ჩემი თემის ხელმძღვანელია. მომავალში სურვილი მაქვს  
ჩემი სპეციალობით, რომელიმე საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიმუშაო.  
მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ვაჟას, რომ დაინახა ჩემი პოტენციალი,  
გამომიცხადა ხდობა და მომცა შესაძლებლობა წინსვლისა და განვითარების.

მეწადება ქრო-ერთი იშვიათი ხელობაათაგანია, რომელსაც საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. მაგალითად, ძველ თბილისში მეწადეები უმეტესად თბილისელი სომხები იყვნენ. მათ თავისი ამქარიც ჰყავდათ და ამქრის ლიდერიც - „უსტაბაში“. მიუხედავად იმისა, რომ დღეს-დღეობით აღარც ამქარია და აღარც „უსტაბაში“, მეწადეებს არამარტო დედაქალაქში, არამედ ქვეყნის ნაბისმი-



ხელსაწყოებს მოიმარჯვებდა და სანამ ბოლომდე არ დაასრულებდა არ შორ-დებოდა სამუშაო კუთხეს. ბაბუას ხელის თითების შემხედვარე ვგვდებოდი, რომ ადგილი სამუშაო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, საოცრად გატაცებული იყო ამ ხელობით. დღეს ბაბუა აღარ არის, ჩემი გაფუჭებული ფეხსაცმელისათვის, რომ ეშველა, ამიტომ „კარგი საპონიკის“ ძიებაში ბატონ მევლუდ ს შევხვდი. რა თქმა უნდა, ფეხსაცმელს დახმარება აღმოუჩინა, მე კი გადავწყვიტე მისი და ზოგადად ამ ერთ-ერთი უმცველესი პროფესიის შესახ-ებ მკითხველისთვის მოქმედობის მოქმედობის პროცესში ბატონი მევლუდი თან-დათან მაცნობდა თავისი მრავალწლიანი კარიერის საინტერესო დეტალებს. მიუხედავად იმისა, რომ შემოსავალი არც თუ ისე დიდია, საკუთარ პროფესი-აზე შეევარებული, დილიდან საღამომდე ქუსლმოცვეთილ თუ ლანჩხამიმდერალ ფეხსაცმელს აკეთებს. ხალხთან ურთიერთობა უყვარს, ამბობს, რომ ბევრს

იგებს მათგან და ბევრ რამესაც სწავლობს. პყავს მუდმივი მომხმარებელიც.  
**ხარაზი, მევლუდ ხაჩიძე:** 37 წელია უკვე ამ პროფესიით ვმუშაობ. ძალიან როგორია ჩვენი ხელობა. ფიზიკურ შრომასაც მოითხოვს და გონიერი განვითარებისაც. ფეხსაცმელი განსაკუთრებით სათუთ მოცემობას საჭიროებს, ერთი შეცდომა და უკვე ვადარ გამოისაწორებ. ისანში დავამთავრო პროფესიანიკური

- წკენი წარმატებული სხვალგაზორდება -

წინსვლაზე და განვითარებაზე  
ორიენტირებული  
ახალგაზრდა პედაგოგი

ვაჟა შუბითიძე (ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე): ჯილდა ლომიძე ჩემი ღოქტორანტი გახლავთ. წარმატებით დაამთავრა ტექნიკური უნივერსიტეტი, შემდეგ მუშაობა დაიწყო საკუთარ სოფელში, მასწავლებლად, მიიღო საქმაოდ დიდი პრაქტიკული გამოცდილება, მომწიფდა, როგორც მოაზროვნე, როგორც მკლევარი. მე მას შეკუთავაზე დოკტორანტული სწავლა

ლის გაგრძელება. როცა შევხვდით  
ერთმანეთს და მისი ნააზრევი, მიღ-  
გომები, მიზნები დავინახე, მივხვდი.  
რომ მზად იყო დოქტორანტურაში  
სწავლის გასაგრძელებლად. შეუ-  
ძლია გააკეთოს სადისერტაციო  
ნაშრომი, გახდეს ასისტენტ-პროფეს-  
სორი და, თუ საჭირო იქნება, თავის

ტის საკრებულოს თაგმზდომარე ვაჟა შეტითიძეა, რომელიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორიცაა. ბატონიშვილი ვაჟამ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს შეამჩნია ჯილდას შრომისმოყვარეობა და სწავლის გაგრძელება შესთავაზა.

ჯილდა ლომიძე: ფლევის საჯარო სკოლაში ვმუშაობ ინგლისურის მასწავლებლად, ვარ აგრეთვე საქმის მწარმოებელი. 2004 წლის ქანონის მიხედვის

Հոլովակը պատճենահանձնությունը կատարվել է 2004 թվականի մայիս ամիսի վերջին՝ ՀՀ ազգային պատմական թանգարանի կողմէն:

რაოსნებს, ან რომელიმე უნივერსიტეტს დაუბრუნდეს და მოამზადოს სათანადო კადრები აღნიშნული სცენიალობით. ჯილდას შევურჩიე თქმა, რომელიც საქართველოში არაა გამოკვლეული, და შესაბამისად, არც დისერტაციაა დაცული. ესაა: პოლიტიკური კონსულტირება, რომელიც არის საზოგადოებასთან ურთიერთობის, ანუ პირის შემადგნელი ნაწილი. პოლიტიკური კონსულტაციის მნიშვნელოვანი ფიგურაა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დავით აღმაშენებელი ისეთი არ იქნებოდა, რომ არა მისი მასშავლებელი და პოლიტიკური კონსულტაციი გიორგი ჭყონდიდები. ვახტანგ VI სულხან-საბას, ერეკლე შეორე კი ლეონიძის გარეშე. პოლიტიკური კონსულტირება სწორედ რჩევა-დარიგების მიცემას გულისხმობს. ასეთი კუთხით საერთოდ არ მომხდარა კვლევა საქართველოში. ძირითადი აქცენტი მაინც თანამედროვეობაზე გაკეთდება, რომ თანამედროვე მმართველებს ძალიან ჭირდებათ პოლიტიკური კონსულტაციები. მაკიაველი კლასიკური გამოხატულებაა, როგორ უნდა მართო ქვეყანა, როგორ უნდა დადო ზაგი, როგორ უნდა იყოლიო ქმარფილი სალხი-იგი პრაქტიკულ რჩევებს აძლევდა მედინებს. ასეთი აქტიური თქმაა.

თვითონ ჯილდა ძალიან ზექობრივი, ბეჯითი ადამიანია, ძალიან კარგი ავტორიტეტით სარგებლოს სკოლაშიც. კარგად გვახსოვს პროფესორ-მასწავლებლებს და ორდენებაც ჩაირიცხა დოქტორანტურაში, სიხარულით მივიღეთ. დოქტორანტურაში 3 წელია სწავლა, პირველ წელს სალექციო კურსია, ხოლო ორი წელი სადისერტაციო თემაზე მოუწევს მუშაობა. სადოქტორო ნაშრომის მოცულობა 120-150 გვერდი უნდა იყოს საშუალოდ. თემაზე მუშაობის გარდა, ამ პერიოდში აუცილებელია გამოქვეყნდეს სტატიები და ორ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მიღება. ნელ-ნელა ყოველწლიურად გროვდება მასალები და ბარდება თემის ნაწილი, რითიც ივსება დისერტაციის თემა. სამომავლოდ, გვჭირდება ადგილობრივი კადრები, ჯილდა დისერტაციის წარმატებით დაცვის შემდეგ, იმუშავებს ტექნიკური უნივერსიტეტის ხაშურის ფილიალში. პირველი დოქტორანტია ხაშურიდან და მინდოდა, ჯილდას მაგალითი სტატუსი უფილიყო სხვებისათვის. მზად ვარ, სურვილის შემთხვევაში, გაუწიო რეკომენდაციები სხვა ახალგაზრდებსაც.

სასწავლებელი, ჩემი პროფესიით. თბილისში მე-8 კლასიდან წავდი და პარალელურად, საღამოს სკოლაში ვსწავლობდი. მასენჯერება ერთი შემთხვევა

ლეიტონ იელინი გაცოცხლი  
აუდირ წყვილ ფასაცემსას ძია  
მეცლავის ხელში გაუციქა

ერ ქალაქსა თუ სოფელში შეხვდებით.  
შეიცვალა დორც, ხალხიც, მოთხოვნებიც;  
ასე, რომ ისინი ამ ახალ მოთხოვნებთან  
ადაპტაციის უნარმა გააქრთიანა. ხარა-  
ზები სწორედ ის ხალხი არიან, მუ-  
დამ ჩვენი ფეხსაცმლების „კეთილ-  
დოლების“ სადარაჯოზე რომ დაანან.

მასსოვს ჩემს ბავშვობაში, ბაბუაც „იჩემებდა“ ხოლმე ხარაზობას, რაიონის თუ არა უბის კოლორიტი ხარაზი ნამდვილად იყო. მეზობლის მოგანილ შესაკეთებელ ფეხსაცმელს ჯერ გულოდგინედ შეათვალიერებდა, „განაჩენს“ გამოიტანდა, შესაძლებელი იყო თუ არა რესტავრაცია და შემდგომ საქმეს შეუდგებოდა. საკუთაროს საკუთარო მოვალეობა

სასწავლებელი, ჩემი პროფესიით. თბილისში მე-8 კლასიდან წავდი და პარალელურად, საღამოს სკოლაში ვსწავლობდი. მასენჯერება ერთი შემთხვევა

ბავშვობაში ნათესავებმა მსახიობ სანდრო ქორქოლიანთან წამიყვანებს. რაც არ უნდა გასაკეთი იყოს, ხარაზი იყო, ფეხსაც-  
მელებს კერავდა. კველაზე კარგად მისი შე-  
კერილი „ფრანცუზები“ მახსოვეს. შეიძლება  
ამ შემთხვევამაც იქნია გავლენა მომავალ  
წეს პროფესიაზე. სავალთანაც სამხედრო

სამსახურიც მოვიხადე და მას შემდეგ ამ ხელობაზე ვარ. ემუშაობდი საქართველოს ფარგლებს გარეთაც: კრასნოდარში და დნეპროპეტროვსკში. შემდგომ უკვე თბილისში, პლეხანოვზე ემუშაობდი. კერავდი როგორც ახალს, ასევე ძველ ფეხსაცმელსაც გუკეთებდი რესტავრაციას. ბოლო წლებში ხაშურში დაგმკვიდრდი. ამ ხალონში უკვე 15 წელია, რაც ვარ. მანამდე ვმუშაობდი „დომბიტაში“ და „ივერიაში“. ეს ხელობა ჩემი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს, თუმცა, მომხმარებლის აქტივობა საშუალოა. მახსოვეს, 80-85-იანი წლებში ძალიან კარგი მუშაობა იყო. მიყვარს ჩემი ხელობა, ბოლომდე შევისისხლხორცე ეს პროფესია და მომხმარებელსაც, შესაბამისად, კმაყოფილს ვისტურებ. სხვათაშორის, ჩემი მეგობარი იტალიაში მუშაობს ამ ხელობით, როგორც ჩანს ევროპაშიც საჭიროებენ „საპოფნიკების“ დახმარებას.

ნამდვილად საინტერესო პროფესიაა. უამრავი ფსიქოლოგიური დებალის გაგება შეიძლება ადამიანზე ფეხსაცმლის მიხედვით. იგი კარგად გადმოსცემს ადამიანის გემოგნებს, ხასიათს და სოციალურ სტატუსს. მაგალითად, მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ თუ ფეხსაცმლის ქუსლი გარეთა მხრიდან არის გაცვეთილი მისი პატრონი პირდაპირი და გაბედულია, თუ ფეხსაცმლის წინა ცხვირი გაცვეთილია, მაშინ ასეთი ადამიანი სკაპტიკოსი და მეოცნებება და ა.შ. ალბათ, მკითხველოზოგიერთმა იცოდით, მაგრამ მასალაზე მუშაობის პროცესში მე პირველად გაფიქტურობით დამახასიათებელი დალოცვა: „ღმერთმა იმდენი წყვილი წლით აცოლახოლოს, რამთვა წყვილ თებერვალსაც ჩამს სალში აგარებიათ”.



## (ლიცენზიური)

ადგილზე მისულებს, მართლაც, რომ სავალალო მდგომარეობა დაგვხვდა. კინ კირობდით, როგორი უძლურია ადამიანი ნებისმიერი სტიქიური უძლურებების წინაშე – ვერავინ გვ-

რაფერს გააწყობს. ორსართულიანი სახლისაგან ძველი დანგრეული ნასახლარიდა იყო დარჩენილი. ქალბატონი ეთერის მონაცელის მიხედვით, პირველი სართული ქვიტკირის იყო, მეორე კი – სის.

ქარ მა სწორედ სის მეორე სართული მოშალი მთლიანი ანგარიში. სამაგიეროდ, იმავე ეზოში ახალი სახლი დაგვხვდა, თუმცა ჯერ ნახევრადა შენებული, როგორც ბატონია დავითმა გვიოხრა თანხის დამტკიცების შემდეგ, სამუშაოები უმაღლეს განახლება. გავესაუბრეთ ეთერ სარებაშვილისაც. ოჯახზე მოგვიყავა. მეუღლე არ ჰყავს, ოჯახის უფროსი თვითონია. ორ შვილთან ერთად ცხოვრობს, ერთი შვილი გათხოვილია. ოჯახი სოციალურად დაუცველია, დახმარება კი 160 ლარს შეადგენს.

თეორ სარაბაშვილი:

სტიქიის დროს სახლში ვიმუშოვებოდით. ძლიერმა ქარმა ჩემს თვალშის გაანადგურა მეორე სართული. იმ დღესვე მოვიდა ბატონი გორგი გურასპაშვილი. მე და

ჩემი ოჯახი უსაფრთხო ადგილას გადაგვიყვანებს, მეზობელ სახლში.

ოჯახისათვის თანხები გამოყოფილი სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლებისათვის, თუმცა ახალი სახლის აშენების

მომდევნო სამდღიანმა გადაუდა.

## სიკეთე, რომელიც არასოდეს დაიკარგება

ბელმა წვიმებმა უკვე ჭერმოხდილი პირები სართულიც მთლიანად მოსახო. ავეჯი და საყოფაცხოვერები ნივთებიც დაზიანდა. შემდგომ ბატონი გიორგი შეგვირდდა, რომ ახალ სახლს აგვაშენებდა, რისთვისაც საოცრად მადლიერები ვართ მე და ჩემი ოჯახი. გამგებელი ხშირად გვხმის მშენებლობას, რათა სწრაფად მოხდეს ჩვენი იჯახის სახლით უზრუნველყოდა. დიდი მათ გაწეული სამსახურის ისტორია. ერთი უზილ ადგილი მათ გადადგინდა, რაიონში. ერთი უზილ ადგილი მათ გადადგინდა, რაიონში.

პრეცენდენტი არ მომხდარა. უდარდ კეთილი საქმეა. რა თქმა უნდა დომერთმა აშოროს ასეთი უბედურება ნებისმიერ ოჯახს, მაგრამ განმეორების შემთხვევაში, ვიმდოვნებთ, მუნიციპალიტეტი ძალ-დონეს არ დაიშურებს პრობლემის აღმოსაფხრელად, როგორც ეს ხარებაში მიღების ოჯახის შემთხვევაში მოხდა.



## პრეცენდენტი: ინუება ცხვრის აცრა

უკვე რამდენიმე დღე აზერბაიჯანმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოდან ცოცხალი პირუტყვის იმპორტის აკრძალვის შესახებ. ამის მიზეზად კი ჩვენმა მეზობელმა და სავაჭრო პარტნიორმა ვირცესი დაასახელა. თუმცა, ქართულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ამის უმთავრესი მიზეზი სომხეთი ცხვარია, როგორიც სომხეთიდან ათასობით შემოჰყავთ და აზერბაიჯანში ქართულად ასალებენ. სხვათაშორის,



სომხეთი ცხვარი, როგორც სპეციალისტები ამბობენ, მართლაცაა ვირუსის მატარებელი და არა გამორიცხული, რომ ისინი ქართულ ცხვარსაც დასწრებონ ვერავინ. რამდენად რეალურია ქართული ცხვრის დავადების

ფაქტი და როგორი სურათია ამ მხრივ ჩვენს მუნიციპალიტეტში, სწორედ ამ თემებზე ვესახებრეთ სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონელი სამართველოს ინსპექტორის შმაგი ზაზიკაშვილს.

– მე ერთი რამ დანამდვილებით შემიღლია დაგიდასტუროთ, ხაშურის მუნიციპალიტეტში უნივერსიტეტის ცხვრის არაგითარი ვირუსი არ გამოვლენილა, – ადნიშნავა მან ჩვენთან საუბარში, – სხვათაშორის, შესანიშნავი შედეგი გამოიღო გასული წლის აცრებამ, როდესაც ჩვენს მუნიციპალიტეტში ცხვრის რაოდენობა სულ ათასამდეა და, აქედან გამომდინარე, აცრებს ამ თვეშივე დაგასრულებული. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, აცრები ცხვრის ჭირზე იწყება, მაგრამ ეს მხოლოდ პრეცენდენტის მიზნით კეთდება და არა იმიტომ, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ცხვარში რაიმე ვირუსი იყოს გავრცელებული, – დასძინა საუბრის ბოლოს ბატონმა შეაგინდება.



## ტრენინგი ურნალისტებისათვის

2 თებერვალს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში, „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრმა”, „თანამედროვე ურნალისტების განვითარების პროგრამის” პრეზენტაცია გამართა. პროექტი „ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისათვის წარმომადგენლობა საქართველო“-ს მხარდაჭერით ხორციელდება. ორგანიზაციის წარმომადგენლობმა შოთა როსტომაშვილი და ნათია გურულმა პროექტის მიზნებსა და ამოცანებზე ისაუბრებს.

ორგანიზაცია პროექტ „თანამედროვე ურნალისტების განვითარების პროგრამის“ ფარგლებში თერთმეტ ქალაქში დასაქმებულ 30 ურნალისტს გადამზადებს, რომლებსაც კალიფიკაციური ტრენერების მიერ ტრენინგები ჩაუტარდება ინტერვიუს, ანონსის, პრეს-რელიზისა და ახალი ამბების მომზადების სპეციფიკაში, ლიბერალიზმის ფუნდამენტალურ პრინციპებსა და სამართლებრივი ტრემინილობის შესწავლის მიმართულებით. პროექტის ფარგლებში შეიქმნება „საქართველოს მედია კლუბი ურნალისტების განვითარებისთვის“, რომელიც ურნალისტების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას მოექმნას ურნალისტების მიმართულების დაგენერირების სამართლებრივი სამსახურის მიერ მიმდევნობას, მაგრამ ამავე და ახალი ამბების მომზადების სპეციფიკაში, ლიბერალიზმის ფუნდამენტალურ პრინციპებსა და სამართლებრივი ტრემინილობის შესწავლის მიმართულებით. პროექტის ფარგლებში შეიქმნება „საქართველოს მედია კლუბი ურნალისტების განვითარებისთვის“, რომელიც ურნალისტების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას მოექმნას ურნალისტების მიმართულების დაგენერირების სამართლებრივი სამსახურის მიერ მიმდევნობას, მაგრამ ამავე და ახალი ამბების მომზადების სპეციფიკაში, ლიბერალიზმის ფუნდამენტალურ პრინციპებსა და სამართლებრივი ტრემინილობის შესწავლის მიმართულებით. პროექტის ფარგლებში შეიქმნება „საქართველოს მედია კლუბი ურნალისტების განვითარებისთვის“, რომელიც ურნალისტების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას მოექმნას ურნალისტების მიმართულების დაგენერირების სამართლებრივი სამსახურის მიერ მიმდევნობას, მაგრამ ამავე და ახალი ამბების მომზადების სპეციფიკაში, ლიბერალიზმის ფუნდამენტალურ პრინციპებსა და სამართლებრივი ტრემინილობის შესწავლის მიმართულებით. პროექტის ფარგლებში შეიქმნება „საქართველოს მედია კლუბი ურნალისტების განვითარებისთვის“, რომელიც ურნალისტების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას მოექმნას ურნალისტების მიმართულების დაგენერირების სამართლებრივი სამსახურის მიერ მიმდევნობას, მაგრამ ამავე და ახალი ამბების მომზადების სპეციფიკაში, ლიბერალიზმის ფუნდამენტალურ პრინციპებსა და სამართლებრივი ტრემინილობის შესწავლის მიმართულებით. პროექტის ფარგლებში შეიქმნება „საქართველოს მედია კლუბი ურნალისტების განვითარებისთვის“, რომელიც ურნალისტების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას მოექმნას ურნალისტების მიმართულების დაგენერირების სამართლებრივი სამსახურის მიერ მიმდევნობას, მაგრამ ამავე და ახალი ამბების მომზადების სპეციფიკაში, ლიბერალიზმის ფუნდამენტალურ პრინციპებსა და სამართლებრივი ტრემინილობის შესწავლის მიმართულებით. პროექტის ფარგლებში შეიქმნება „საქართველოს მედია კლუბი ურნალისტების განვითარებისთვის“, რომელიც ურნალისტების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას მოექმნას ურნალისტების მიმართულების დაგენერირების სამართლებრივი სამსახურის მიერ მიმდევნობას, მაგრამ ამავე და ახალი ამბების მომზადების სპეციფიკაში, ლიბერალიზმის ფუნდამენტალურ პრინციპებსა და სამართლებრივი ტრემინილობის შესწავლის მიმართულებით. პროექტის ფარგლებში შეიქმნება „საქართველოს მედია კლუბი ურნალისტების განვითარებისთვის“, რომელიც ურნალისტების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას მოექმნას ურნალისტების მიმართულების დაგენერირების სამართლებრივი სამსახურის მიერ მიმდევნობას, მაგრამ ამავე და ახალი ამბების მომზადების სპეციფიკაში, ლიბერალიზმის ფუნდამენტალურ პრინციპებსა და სამართლებრივი ტრემინილობის შესწავლის მიმართულებით. პროექტის ფარგლებში შეიქმნება „საქართველოს მედია კლუბი ურნალისტების განვითარებისთვის“, რომელიც ურნალისტების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას მოექმნას ურნალისტების მიმართულების დაგენერირების სამართლებრივი სამსახურის მიერ მიმდევნობას, მაგრამ ამავე და ახალი ამბების მომზადების სპეციფიკაში, ლიბერალიზმის ფუნდამენტალურ პრი

# ეგზარქოსის საქართველოში



საქართველოს მერვე გეზარქისად დაინიშნა 1877 წლის 8 დეკემბერს ნიუკოროდის მთავარეპსეკოპოს თოახაცე (რუდნევი) სენეგბულმა მდვდელმთავარმა დღია ამაგი დასწორ საქართველოს კედებისა: მან სასულიერო წოდებას გადასცა საკარქით სახლოის ქარხანა, რომლის შემოსავალი სახულიერო პირთამთვის მრავალ სიკეთეთა წეროდ შეიქანა, მის დროს დაარსადა საეპარქოთ დადგინდა სასწავლებელი ქალაქ თბილისში და იმის სასარგებლოდ 40000 ათასი მანეთი შესწირა თვითის საშუალებებით. მან გაუმჯობესა თბილისში სასულიერო სემინარიის მასწავლებლებთ და მოსწავლით ცხოვრება. დარასა იმავე სემინარიაში „მმრბა“ წმ. ანგრია პირველი იდეგულისა დარიძი მოსწავლეთათვის ნითიერი დახმარების აღმოსაჩენა; დიდი უკურადებელი მიექცა იმის დროს (1878 წელი) შემორჩებულ „უკელი მცხეთის“ დასახლებელ ძალათ გამაპატიანებულ ჭართველთა ტომების, რომელთა რაოდგნობა 200 ათასზე მეტი იყო. მათი გაერთისებიანებისათვის შერჩეული იქნებ მისიონერები.

მისი მთავარებით და შეაძლეომდობობდა დარსებული იქნა ქართული ენის კათედრა, თბილისის სასულიერო სემინარიაში და საგზარეოს შიდა სასულიერო სასულიერო სასულიერო სახელმწიფო სამსახურის უფლებაზე და ქართული ენის საქადებების საქმეს. ქართული ენის მასწავლებელების მიეცათ სახელმწიფო სამსახურის უფლებაზე და ანხაური, მდვდელი და გელეგი კრთხინირი აპთივისცემით მოისხენიერდა იმის სახელს. 1882 წლის 7 ივნისს ის გადაიყვანებს მოსეკოვის სამიტროპოლიტო კათედრაზე და თავის სამწყებლომ დიდი აპთივით გააცილა. როდესაც მას სამდვდელო სამსახურში 50 წელი შეუსრულდა, ქ. თბილისიდან მრევლმა ქართველმა გაუგზავნა მისაღლოცი დეპუტატი, სადაც გამოხატა თავის უღრმესი პატივისცემა მისი უანგარიში მოდვეწერისათვის საქართველოში.

საქართველოს მეცნიერება გეზარქოსად დაითხმული იქნა  
კი შეინიშნოს მთავარი სკოლისა პავლე (ლეგენდი) 1882  
წელს 16 ივლისს. ეს ის პავლე, რომელთანაც დამი-  
ტრი კიფიანს მოუვიდა დაპირისპირება და რომელის  
მიხედვითაც გადასახლეს დამიტრი სტრავროპოლში  
და სადაც ჟევირა ამ კიტებით მიუხედავდ ამი-  
სა, მის მოღვაწეობაზე ბევრი რამ არ ვიცით, გრადა  
უარყოფითის, თუმცა მოდი მოუშმონოთ ილა ფერაძეს რას ამბობს მასზე მან თბილი-  
სის საჯარებით დეფასა სასწავლებლისთვის შეისყიდა საკუთარი შენობა; მის დროსვე  
არშენებული იქნა სადგომი ოზურგების სასულიერო სასწავლებლისათვის; შექნილი იქნა  
მიწა და გამოიხატული იქნა საშუალება გრის სასულიერო სასწავლებლის შენობისათვის;  
შეკეთებული იქნა და გადიდება მისა შეხებით თბილისის სასწავლებლის შენობისათვის;  
არღმაში ისათავოს დაარსებული იქნა სასწავლიერო სასწავლებული. დაარსებული  
იქნა სასულიერო გარეული განეთი სასწავლებული და გადასახლებაში დამბამდებ რეადიტორით. დასაჭ-  
დეთ საქართველოში დაარსდა 2 ახალი კარძია: გურიას სამეცნიერო გარეულითი და აჭარაზეთის; მის  
დროსვე დამტებიცებული იქნა სასწავლო გეგმა საგროვებლოს საგზარებელოს საექვების  
სწავლებისათვის. ამ გეგმის საფუძვლად შეიღებულ იქნა აერაგოგიკის სადი და უნიტარი  
შეხედულება იმის შესხებ, რომ ქართველი ბავშვები სულის ძალით და ნიჭით ჯეროვანი და  
ბუქნის თანახმად განვითარება უადგენელი კულტურის, შემოძღვაური გნის შემცირებით უნდა  
ჩედონდეს. ამ გნის შემცირებით განვითარებული ბავშვი აღიდან სადღეს კულტურის და-  
რეკორდების, ხალისით, შეგნებით და საფუძვლისად შეისავლის და შეცემის სახელმწიფო  
რესულ ენასაც და განვიდება შეგნებული რეთოგული წევრი რესენტის სახელმწიფო 1887  
წლის 29 ენეკინისთვის ეგზარქოს-პავლე გადაგანილი იქნა გაზის მთავარების კორპორაცი-  
ად. 1887 წლის 29 ენეკინისთვის ეგზარქოს-პავლე გადაგანილი იქნა გაზის კორპორაცია-  
ად. 1887 წლის 29 ენეკინისთვის ეგზარქოს-პავლე გადაგანილი იქნა გაზის კორპორაცია-  
ად.

1898 წლის 21 თებერვალს ყოვლად-სამღვდელო კლასიმირი იქნა მოსკოვის სამიტო-პროგრესუალისტი.


1898 წლის 21 ოქტომბერის საქართველოს 12 გზარქუსად დაინიშნა მაღალ ყოვლად სამდგრადებიანი გაცობაში მათ მეუფება, ერთი კაცობაში ნიკოლოზის დე გოროლეცი, ხიმირსესის გაუგრინის აზნაურთავანი. იგი დიდხანს და წარმატებით მოღვაწეობა სხვადასხვა ადგილებში საკეთებო მიმართულებით. დადი აღტაცებით და მიედით შეუება მას ქართველი სამწევო მცხეობას. აქვე მომა მეუფებამ მცხეობის საკრძალვო ტაძრის გასაახლებლად შესწირა 1000 მანეთი. თბილისში მათ მეუფებას მიმართებს ქართველ საკეთებო თირგება, რომ ახლად მობრძანებულმა ექვთარხოსმა დაამყაროს თავის სამწევოში მშვიდობა და სიკარული, უკრადება მიაჰციოს საქართველოს საკეთებო ძეველ ნაშთებს და მათ შორის დიდგენულ მცხეთის ტაძარს, დადას ქართველობის კარგებისას და ქართველი ერთი გმბაზს, „მშვიდობა თქვენია“, ასე დაიწყო თავისი პირველი, მოკლე მაგრამ ღრმასაზროვანი სიტყვა მაღალ-ყოვლად სამდგრადებლო ფლაბიანები, „მშვიდობა სახლოა თქვენთანა“... მათის მეუფების მეცადინებით გაძლიერდა მცხეობის ტაძრის გასაახლებლად დაარსებული კრმიტების მოღვაწეობა. ამ წლიდან უხევად მოვიდა შეწირულობანი საქართველოს და რუსეთის კედელი ტაძრის გასაახლებლად.

თბილისის საეპარქიო დედათა სახწავლებელი სამკლასიანიდან გადაეკოდა ექვსელასიანად მისი ხელდასხმით. ამავე სახწავლებელს მათი მეუფების შეწეობით და შუამდგრადლით დაენიშნა სინოდიდან ყოვლელიური შეწეობა. მის დროს გახსნილი იქნა მრავალი საექლესით სკოლა და უზრუნველყოფილი იქნა. თბილისში საექლესით-საოცხატო სემინარიისათვის ხარფუქში შეძენილი იქნა შენობა თავისი ბადით. გაძლიერდა სიკელეთ-საცავი ხალხანიერებით და არქოლოგიური საგნებით და დაენიშნა შეწეობა სახლოის ქარხნის შემოსავლიდან გზა გაეხსნა მის დროს ქართულ ენაზე მოღვაწეობათ წარმოთქმის, შეკრების და გამოცემის საქმეს. ნოტებზე იქნა გადაღებული ქართული საექლესით საგალობლები, დაიბეჭდა ქართულ ენაზე რამდენიმე საექლესით და საღმრთო წიგნი (სახარება, სამოციქულო, ჯმინი და სხვ). მაღალ-სამდგრადებლო ფლაბიანები, ის მეოთხე წელიწადია იღვწის დაუღალავად და მხურვალედ საქართველოს კეთილწარმატების სასარგებლოდ. გისურვოთ მათი მეუფებისათვის დღვერძელობა მართმადიდებლით კლასის სასარგებლოთ ნაყოფიერის მოღაწეობისათვის. – წარს ილია ვერაძა,

**გ. გელაშვილი**

## ანთოლოგიის IV ტომის პრეზენტაცია

ამ დღეებში ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზში გაიმართა ჯუმბერ ლექავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის მიერ გამოცემული ანთოლოგიის IV ტომის პრეზენტაცია.



ღმის გამგებობის ეროვნული სასახლის საქართველოს ისტორიის კაბინეტის მუზეუმის გამგებობის მიერ გამოცემული ანთოლოგიის IV ტომის პრეზენტაცია.



ღმის გამგებობის ეროვნული სასახლის საქართველოს ისტორიის კაბინეტის მუზეუმის გამგებობის მიერ გამოცემული ანთოლოგიის IV ტომის პრეზენტაცია.

## თურქი მოჭიდავები – ხაშურში

ხაშურის სასპორტო სკოლას ერთი კვირის მანძილზე სტუმრობდა და თურქეთიდან, კერძოდ, ართვინის კილაიოთიდან თავისუფალი სტოლის მოჭიდავე კადეტთა ნაკრები გუნდი. მათ ერთობლივი წვრთნა გაიარეს ჩვენს კადეტებთან ერთად.

ზაზა ვარდიძე, ართვინის ნაკრები გუნდის მწვრთნელი: თავისუფალი სტოლის მოჭიდავეთა ქართული სკოლა ოდითგანვე განთქმული იყო




და არის მთელს მსოფლიოში. მთელ ამ სისტემაში კი ხაშურელი მოჭიდავეები მუდამ ამბობდნენ თავის სიტყვას. ამ სფეროში თქვენი ბოლო დროინდელი წარმატებები, რა თქმა უნდა, მამა-შვილ ვახტანგ და გიორ-

ოთხი ლაზია, ასე რომ ისინი ისტორიულ სამშობლოში არიან...

გიორგი კვინიკაძე: მარტის თვეში, ამათ ასაკში, საქართველოს პირველი დაგეგმილი. რა თქმა უნდა, უკვე ვემზადები ამ საპასუხისმგებ-

## მეგობრობისა და სიუვარულის გამომზეურება

გუშინ, შუადღით, მობილურ ტელეფონზე ბატონი ჯემალ ინჯია – უფროსი თაობის გმორჩეული პოტი და მოლვაზე, ჩინებული პიროვნება და მამულიშვილი მირეკავს და მოკითხვის შემდეგ მეუბნება, რომ ხაშურელ მეგობრებს ლექსი უძღვნა და სურს ეს ლექსი მიკარნახოს. მე ფურცელსა და კალამს ვიმარჯვებ და ბატონი ჯემალი თუმცა სევდიანად, მაგრამ დიდი გრძნობით და, რაც განსაკუთრებით დასაფასებელია, ასეთივე სიყვარულით მკარნახობს თავის ახალ ლექსს, მერე, ჩაწერას რომ მოგრჩები, პოტი მოკითხვას მაბარებს თავის მეგობრებთან გივი ხვედლიძესა და რობერტ სუხიაშვილთან და ვგრძნობ, ამ მოკითხვისა და კეთილი სუან როგორი დიდი ცხოველი და მეგობრობაა, როგორი ტკივილია გარდაცვლილი მეგობრების გამო, როგორი მონატრება და საერთო ჯამში კი-უდიდესი სევდა იმ ყოველივე-საძმი, რაც იყო და ადარ განმეორდება.



ბატონი ჯემალ, თქვენ ხომ თქვენი დიდებული შემოქმედებით, ორიგინალური თუ თარგმნილი ნაწარმოებებით, პუბლიცისტიკო მკითხელების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეთ. ეს კი ისეთი ჯილდოა, დროის მდინარება რომ ვერ მოერევა. ეს ტკივილი კი... თუმცა, სევდისა და ტკივილის გარეშე პოეზია ვერც იარსებებს. მურად მთვარელი

## საშუალ მებობრებს!

მე მიყვარული, გივი, რობერტ,

ნატო, მურად, მეგობრულად,  
მურად - ძმურად, ნატო - დურიად,

დლეს გიორგი მენატრება

მეტრეველი,

მეროჭია მათხოვრის შინ შემთრეველი.

ზოგჯერ ჭიქოს შეიძლება არც ულისინდა,

მაგრამ სტუმარს არ უშვებდა ცხრამესიდან.

დრო თუმც გაცის, დამი-  
ჯერეთ, გივი, რობერტ,

ტკივილები ისევ ისე ტკივი-  
ლობენ,

კაცს ტკივილი სიცოცხლის  
ეინს უათაცებს

და არ მოკლავს უდრიოდ-  
როდ შეადლებზე.

მახსოვს, როგორ ვიგონებ-  
დით ლესელიძეს,

მთხოვდით ხოლმე, გვესაუ-  
ბრა ესენინზე,

მე ტკივილი ალარ მაწვა

მძიმე ლოდად

თუ ხაშურში მეგობარი  
მიმელოდა...

ჯერად ინჯია

ლო შეჯიბრისთვის და ეს ერთ-კიონისი ერთობლივი წვრთნა ძალა-  
ზე სასარგებლო იყო როგორც ჩვენი, ასევე თურქი სპორტსმენებისთვის. სხვათაშორის, მათაც ანალოგიური – თურქეთის პირველი მეტება – იგივე გავა-  
მზავროთ, მიწვევა უკვე გვაქს... თვეში აქვთ. უცხოელ სპორტსმენ-

ერთობლივ წვრთნებზე და ამ შანსს აღბათ გამოვიყენებთ. მასის თვეში კი ართვინში დიდი საერთაშორისო ტურნირია დაგეგმილი და არაა გამორიცხული იქაც გავა-  
მზავროთ, მიწვევა უკვე გვაქს... პატარა თურქმა სპორტსმენები



ებთან მეტოქეობა განსაკუთრებით მათ ფსიქოლოგიურ მომზადებაში გვემარება. ართვინის მხარის მოჭიდავებთან დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს და ჩვენც ხშირად ჩა-  
ვდივართ მათთან სტუმრად. ახლაც ბარონმა ზახარ მიგვიატიურა კვლავ

მა უკვე დატოვეს ხაშური და სამშობლოში გაემგზავრენ. იმედია, ეს ერთოცირინი ერთობლივი წვრთნები დადებითად აისახება როგორც მათი, ასევე ჩვენი მოჭიდავეების სპორტულ შედეგებზე. გ. მაღრაძე

**(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“.** დირექტორი გიორგი გოგალაძე,

მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe2015@gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB011511434590001.

მ-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით

გაზეთი იბეჭდება თბილისში.

რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.



















ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,  
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe 2015@gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტი-  
ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.

ნ-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით

გაზეთი იბეჭდება ობილისში.

რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.